

სეპარატორის ექსპლუატაცია და მომსახურება

რადგან ნივთიერება , რომელიც რჩება სეპარატორში , კლასიფიცირდება როგორც საშიში , კოდი 19 08 03 , მოცემული მონაცემების სერვისის მომსახურება შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ კომპანიით , რომელსაც გააჩნია სპეციალური ნებართვა ბუნების დაცვის სათანადო ორგანოების მიერ.

მონაცემების ექსპლუატაცია უნდა მოხდეს დადგენილი საექსპლუატაციო სახელმძღვანელოს მიხედვით. მომსახურება და მიმდინარე რემონტი შეუძლია მოახდინოს მხოლოდ მომზადებულმა თანამშრომელმა , საერთო უსაფრთხოების და ჯამრთელობის წესების დაცვის მიხედვით.

ნავთობპროდუქტების სეპარატორები რეგულარულად შემოწმება , დაცლა და გამოსუფთავება არის აუცილებელი. განხორციელებული შემოწმებების სიხშირე , გამოტუმბვა და გამოსუფთავება უნდა შეესაბამებოდეს სეპარატორის ტევადობის შესაძლებლობას ან ნალექის რაოდენობას სალექარში , ასევე უნდა ეყრდნობოდეს მოცემული მონაცემების ექსპლუატაციის გამოცდილებას.

- ✓ დაცლის სიხშირე დამოკიდებულია დამუშავებული ჩამდინარე წყლების რაოდენობაზე.
- ✓ ლექის შემგროვებელი კამერა (სალექარი) რეგულარულად უნდა იწმინდებოდეს , მინიმუმ 2 ჯერ წელიწადში , მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნავთობპროდუქტების დაშვებული დონის გადაჭარბება არ არის შემჩნეული , უშუალოდ თვითონ სეპარატორი უნდა გამოსუფთავდეს წელიწადში ერთხელ. გამოტუმბვის დროს არ უნდა ხდებოდეს ჩამდინარე წყლების შემოდინება.
- ✓ კოალისცენტური ფილტვი დროთაგანმავლობაში უნდა გაირეცხოს წყლის ჭავლით.
- ✓ ნავთობპროდუქტების გამოტუმბვა უნდა განხორციელდეს ავტომატური გადაკეტვის სარქველის ტივტივაზე ნიშნულამდე მიღწევის შემდეგ , ასევე კოალისცენტური ფილის ამოღების შემდეგ.
- ✓ ავტომატური ბლოკადის სისტემის დაბინძურების ხარისხის შემოწმება , კერძოდ ტივტივის. ტივტივის პერიოდული გასუფთავება არშესრულების შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს სეპარატორიდან წყლების გადინების სრულიად შეწყვეტა. ასეთი ტიპის ავარიების პროგნოზირება შეუძლებელია , ამიტომაც აუცილებელი სეპარატორის ამ ნაწილში დაბინძურების ხარისხის სისტემატიურად შემოწმება. ტუ ტივტივა გასუფთავებული არ იქნება მისი წონა მოიმატებს ზედ მინებებული ნარჩენების ხარჯით , რის შედეგადაც შეიძლება მოხდეს გამსვლელი ხვრელის დასაცობება.
- ✓ გამოტუმბვა ხდება შემომდინარე წყლების გათიშვისას.
- ✓ ნავთობპროდუქტების სეპარატორების ყოველი დაცლის შემდეგ მისი წყლით გადავსება აუცილებელია.

გამოტუმბვას და უტილიზებას ასრულებს კომპანია , რომელსაც აქვს უფლებამოსილება ამის შესრულების. ნავთობპროდუქტები გამოიტუმბება ტუმბოთი , რომელიც სპეციალურად ნავთობპროდუქტების საქაჩადაა გათვალისწინებული.